




საშურის მოახლა



№5 (379) 14 თებერვალი, სამშაბათი, 2023 წელი

შიდა ქართლი

მიხეილ შაყულაშვილმა მუნიციპალიტეტების მერებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა რეგიონში შემაჯავალი მუნიციპალიტეტების მერებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრას რწმუნებულის მოადგილეები და ოთხივე მუნიციპალიტეტის მერი ესწრებოდა.

სამუშაო შეხვედრაზე სხვადასხვა პრიორიტეტული საკითხი განიხილეს, მათ შორის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებული შეხვედრებისას გამოკვეთილი საკითხები, სატრანსპორტო მიმართულება, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ზარდიანთკარში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობა, ქალაქების მასშტაბით მიმდინარე და დაგეგმილი სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, რეგიონის ტურისტული ღოკაციების მოწვევრიგება და ტურისტული სეზონისთვის მზადყოფნა. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მიმდინარე წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება იგეგმება, რაც თავის მხრივ მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარეობს. სახელმწიფო რწმუნებულის თქმით, მსგავსი სახის შეხვედრები ხელს უწყობს მუნიციპალიტეტებთან კოორდინირებულ მუშაობასა და მათთან ეფექტურ კომუნიკაციას.



ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობისთვის სამუშაოები იწყება



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიასა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კომპანია “JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapı Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S.”-ს შორის ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოებზე ხელშეკრულება გაფორმდა.

ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიას, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნიკო ნიკოლაძის სახელობის დარბაზში გაიმართა, ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი ზაად დუგლაძე, სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში მიხეილ შაყულაშვილი, რწმუნებულის მოადგილე სიმონ გუგუნიანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი ალექსანდრე თევდორაძე.

პროექტი საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ხორციელდება და წყალმომარაგების ქსელისა და ქალაქის ცენტრალურ ნაწილში წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობას ითვალისწინებს. ხელშეკრულების ღირებულება 146 მლნ. ლარს შეადგენს.

2023 წლის დასაწყისში გამოცხადდება ტენდერი წყალმომარაგების სათავე ნაგებობის, რეზერვუარის, სატუმბო სადგურებისა და ყველა საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით. წყალმომარაგების მიმართულებით სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2025 წლის ბოლოს, რის შემდეგ ხაშურის 24 000 ბენეფიციარი ისარგებლებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 24 საათიანი წყალმომარაგებით.

წლის დასაწყისში დაგეგმილია ტენდერის გამოცხადება წყალარინების გამწვანების პროექტირება-მშენებლობასთან დაკავშირებით. ჯამურად ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე 225 მლნ ლარი დაიხარჯება.

სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, შეხვედრები შედგა წრომის, ხცისისა და ხალების ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ადგილობრივ მოსახლეობას ხვდებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ცოტნე ნოზაძე და ნოდარ ლომიძე, საკრებულოს ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირები.

მოსახლეობასთან შეხვედრებისას პრიორიტეტები ასე გადანაწილდა: „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, დიდ და პატარა ხალებში, სარტყელაში-ბეტონის გზის დაგება დასახელებული ყველაზე მნიშვნელოვანად, ხცისში, მიწობსა და ღვრიაწყალში-წყლის სისტემის მოწვობა, კრისხევში-მინი სტადიონის რეაბილიტაცია, წრომში-დასახელებული სივრცის მოწვობა, ახალშენში, ნადარბაზევში, იმერლიანთკარში, დიდ და პატარა ყელეთში-გზების რეაბილიტაცია.

გარდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსახორციელებელი პროექტებისა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ

ჩაინიშნეს თითოეული სოფლის პრობლემური საკითხი და მოსახლეობას განუმარტეს, რომ ამ პრობლემების გადაჭრასაც, შეძლებისდაგვარად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სახსრებით, უმოკლეს ვადაში შეეცდებიან.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შერჩეული პროექტები დასამტკიცებლად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება.



**საქართველოს მთავრობის
დადგენილება №56
2023 წლის 7 თებერვალი, ქ. თბილისი**

**სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის
საგაზაფხულო გაწვევის შესახებ**

მუხლი 1

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლისა და „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით:

1. მოქალაქეთა 2023 წლის საგაზაფხულო გაწვევა განხორციელდეს 2023 წლის 1 თებერვლიდან 2023 წლის 30 ივნისამდე.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1400-ით.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 898-ით.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 502-ით.

5. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 210-ით.

6. საქართველოს თავდაცვის ძალებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულ იქნენ 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში, ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათ-



ვალისწინებული უწყებების წერილობითი მოთხოვნების შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საგაზაფხულო გაწვევის პროცესი შესაბამის უწყებაში შეიძლება შეწყდეს ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებამდე.

8. 18-იდან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის (შემდგომში – თბილისის რაიონი) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში (შემდგომში – მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეული) რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამ დადგენილების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში განსაზღვროს ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც გაიგზავნებიან წვევამდებები დამატებითი სამედიცინო გამოკვლევისათვის.

10. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადგილებზე აღმოუჩინოს დახმარება მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს იმ წვევამდებთა მოძებნასა და მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს გამწვევი კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიან

ან, სავარაუდოდ, თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კოორდინაცია გაუწიოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს.

მუხლი 2 დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და ვრცელდება 2023 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

**ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება**

**სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა
2023 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მე-20-ე, 21-ე, 22-ე, 23-ე, 24-ე, 25-ე, 28-ე მუხლების, „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 07 თებერვლის №56 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ თანახმად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად მოწოდების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად, 2023 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში, 01 თებერვლიდან 30 ივნისამდე მოხდეს მოქალაქეთა გაწვევა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;

2. საქართველოს თავდაცვის ძალებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში-სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულ იქნან ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება;

3. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისიის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში;

4. ეთხოვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონულ სამმართველოს, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 07 თებერვლის №56 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ პირველი მუხლის მე-11-ე პუნქტის შესაბამისად, აღმოუჩინოს დახმარება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს იმ წვევამდებთა მოძებნასა და გამწვევი კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიან ან, სავარაუდოდ, თავს

არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს;

5. დამტკიცდეს გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

თენგიზ ჩიტიაშვილი – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ბარბაქაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი;

კომისიის წევრები:

გიორგი კაპანაძე – შსს ხაშურის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი;

პაველ გაგნიძე – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი;

ვასილ არჩვაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ვასილ მახარობლიძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

კომისიის მდივანი:

ოლგა სიდროპულო – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

6. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 07 თებერვლის №56 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები, დადგენილების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

7. ბრძანება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში;

8. ბრძანება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს;

9. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

10. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის ვადაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

2022 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებდა მასზე დაკისრებულ სხვადასხვა სამსახურებრივ ფუნქციებს, მათ შორის: მოცემულ პერიოდში, საქართველოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საქმისწარმოების წესით სასამართლო სისტემაში მიმდინარეობდა საქმეების წარმოება, რომლებშიც ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური წარმოდგენილი იყო როგორც მოსარჩელის, მოპასუხის, ასევე მესამე პირის სახით (მომზადებული იქნა სარჩელები და შესაგებლები, სამართალდარღვევის ოქმები, საჩივრები) სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში.

საანგარიშო პერიოდში, სასამართლო წარმოებაში იყო 53 საქმე (2022 წლის დასაწყისიდან წარმოებაში იყო 51 საქმე, რომელსაც ბოლო კვარტალში დაემატა 2 საქმე: 1 - ადმ. სამართალწარმოების და 1 - სამოქალაქო სამართალწარმოების, ასევე 2021 წლიდან ნაშთად გადმოყოფილი იყო დამატებით რამდენიმე საქმე, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო შესული კანონიერ ძალაში), სადაც მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი იყო მხარედ. აქედან 32 იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების, 13 სამოქალაქო სამართალწარმოების, 8 საქმე განიხილებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ფაქტებზე. ზემოხსენებული 32 ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებიდან 4 საქმეზე მუნიციპალიტეტი მესამე პირად იყო ჩაბმული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში და ახლენდა მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას. სასამართლო წარმოებაში არსებული 53 საქმეიდან 20 საქმე დასრულდა და შევიდა კანონიერ ძალაში. აქედან 13 საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებებით სრულად დაკმაყოფილებული იქნა მუნიციპალიტეტის მერიის კანონიერი ინტერესები, 1 საქმეზე ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული მერიის კანონიერი ინტერესები, ხოლო 6 საქმე დასრულდა მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ. დღეისათვის სასამართლო წარმოებაშია სულ 33 საქმე, აქედან 25 საქმე არის ადმინისტრაციული სამართალწარმოების, (მათგან 2 საქმეზე მუნიციპალიტეტი მესამე პირადაა ჩაბმული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში), 8 საქმე არის სამოქალაქო სამართალწარმოების. აღნიშნული საქმეებიდან 23 საქმე განიხილება ხაშურის რაიონულ სასამართლოში, 8 საქმე იხილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ხოლო 2 საქმე განსახილველად გადაეზარდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ამასთანავე, სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანიზაციის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის 4 საქმეზე, სამსახური ახორციელებდა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და მერიის კანონიერი ინტერესების დაცვას. აღნიშნულ საქმეებზე არ დასრულებულა წინასწარი გამოძიება და, შესაბამისად, მათზე გრძელდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ სხვადასხვა სამართალწარმოების საქმეებზე სახელმწიფო ბიუჯეტისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ, გარკვეული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე აღსრულების ეროვნულ ბიუროში სააღსრულებო წარმოებით მიქცეულ იქნა 4 საქმე. აღსარულად მიქცეული საქმეების თანხობრივი ჯამი შეადგენს: 11.861 ლარს, საიდანაც სამსახურის ჩართულობით ნახევარზე მეტი თანხა შემოსულია მუნიციპალიტეტის შესაბამის ანგარიშზე. საანგარიშო პერიოდში, იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური, ასევე, აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის მიმართ დავალიანების მქონე ბრალდული კომპანიებისა და ფიზიკური პირების მიერ, ასევე, მათი ბრალდული ქმედებების გამო, მუნიციპალიტეტზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ ბიუჯეტში თანხების შემოტანის საკითხებში (ამ მხრივ ანაზღაურებული იქნა 1500 ლარამდე). სხვადასხვა სამართალწარმოების წესით, ამჟამად მიმდინარე საქმეებში იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ მიმწოდებლების და სხვადასხვა სახის სამართალდამრღვევების მიერ (იურიდიული და ფიზიკური პირები) მათზე კანონმდებლობით განსაზღვრული (პირგასამტეხლო, მიყენებული ზიანი და სხვა სახის საჯაროო სანქციები) თანხების ამოღების მიმართებაში, მათ შორის, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, სასამართლოს მიერ მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დაკისრებული თანხების ამოღებასთან მიმართებაში.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის მერიაზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, სამსახურის მიერ შედგა შეთანხმება და გაფორმდა ხელშეკრულება შ.პ.ს. „წყალმშენი 2013“-თან 86 301,96 ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის უსასყიდლოდ მომზადების მიზნით, რაც განპირობებული იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „წყალმშენი 2013“-ს შორის 2021 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 170 და 2021 წლის 3 დეკემბრის 205 ხელშეკრულებების არაჯეროვანი შესრულებით და ბრალდული ქმედებებით მერიაზე ზიანის მიყენებით. არტეზიული ჭების და ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების შედეგად არ იქნა მიღებული სასურველი შედეგი (არტეზიულ ჭებსა და ჭაბურღილში არ მოხდა სათანადო დებიტის წყლის შემოდინება), ხოლო სამუშაოების მწარმოებელი კომპანიებთან მუნიციპალიტეტის მერიაში მოახდინა შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება, ვინაიდან ისინი შესრულებული იყო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ჯამურად განიცდიდა ზიანს 86 301,96 ლარის ოდენობით. პროექტის ავტორმა ორგანიზაციამ გამოიხილა მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და სასამართლო დავის გარეშე, ხელმოაწიშნულ კომპანიასთან, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურთან ერთად, მიღწეული იქნა შეთანხმება და 2022 წლის 23 დეკემბერს გაფორმდა №84-842235729 ხელშეკრულება მუნიციპალიტეტისთვის 1 წლის განმავლობაში 86 301,96 ლარის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის უსასყიდლოდ მომზადების პირობებით, სადაც სრულად დატყლია მუნიციპალიტეტის მერიის კანონიერი ინტერესები.

საანგარიშო პერიოდში, მიმდინარე სამოქალაქო სამართალწარმოების საქმეზე მოწინააღმდეგე მხარესთან - შპს „ქართლი“, გაფორმდა მორიგება, რომლის პირობებით სრულად იქნა დატყლი მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესები. 2019 წლის 24 აპრილს დადებული №86 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შედეგად ექსპერტის დასკვნებით დადასტურებული ასანაზღაურებელი ჩასარიცხი თანხიდან - 142 734,91 ლარიდან, ნაკისრი ვალდებულების პირობების დარღვევის გამო, პირგასამტეხლოს სახით, მოხდა 50 000 ლარის გაკვითვა და მოწინააღმდეგე მხარეზე საბოლოოდ განხორციელდა 90 734,91 ლარის ანაზღაურება - ჩარიცხვა.

საანგარიშო პერიოდში მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურმა სამართლებრივი დახმარება გაუწია ზედამხედველობის სამსახურის მიერ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის

კოდექსის“ 45-ე (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) მუხლის და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 130-ე მუხლით გათვალისწინებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეებს. მათგან 12 ფაქტზე მოხდა შესაბამისი რეაგირება - დაჯარიმება.

პარალელურ რეჟიმში, სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურის მიერ მომზადებული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, შემოსული კორესპონდენციის ვიზირება და პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი დასკვნების მომზადება. საანგარიშო პერიოდში, იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ეკონომიკური განვითარების, საფინანსო-საბიუჯეტო, ინფრასტრუქტურის განვითარების, სამხედრო გაწვევის და აღრიცხვის, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურების და მერიის სხვა სამსახურებიდან შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე, მომზადებულია 48 სამართლებრივი დასკვნა, რომელიც ეხებოდა მერიის სხვადასხვა სამსახურების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პროცესში. საანგარიშო პერიოდში, იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის ინიცირებით საკრებულოს სხდომაზე წარდგენილი იქნა დადგენილების 12 პროექტი. იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური, საანგარიშო პერიოდის პირველ კვარტალში, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად, ჩართული იყო და სამართლებრივად უზრუნველყოფდა მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესს. საანგარიშო პერიოდის მეორე კვარტალში, იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო ა(ა)იპ „ხაშურსერვისში“ მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესში და უზრუნველყოფდა კანონმდებლობის შესაბამისად პროცედურების წარმართვას. ამავდროულად, სამსახური ჩართული იყო ახალი ა(ა)იპ „წყლისა და გამწვანების კომპანია“ დაფუძნების პროცესში, რა დროსაც სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სათანადო სამართლებრივი ქმედებები. აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში სამსახურის ინიცირებით საკრებულოს სხდომაზე წარდგენილი იქნა განკარგულების 2 პროექტი.

სამსახურის მიერ მუდმივად ხდება მუნიციპალიტეტისათვის მომართულ მოქალაქეთათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა როგორც წერილობითი ფორმით, ასევე უშუალო გასაუბრების გზით. საანგარიშო პერიოდში, სამსახური უზრუნველყოფდა წარმომადგენლობას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პროცესში. სამსახურის მიერ მუდმივად ხდება მუნიციპალიტეტისათვის მომართულ მოქალაქეთათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა როგორც წერილობითი ფორმით, ასევე უშუალო გასაუბრების გზით. საანგარიშო პერიოდში, სამსახური უზრუნველყოფდა წარმომადგენლობას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში. ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოთან მიწის რეესტრაციებთან დაკავშირებით გადმოგზავნილი მასალების საფუძველზე, მერიის შესაბამისი სამსახურისა და მოსამსახურეების მიერ კანონის დარღვევით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესწავლისას, ბათილად იქნა ცნობილი არაერთი ასეთი ადმინისტრაციული აქტი, ხოლო სავარაუდო გადაცდომებზე სათანადო შესწავლის მიზნით, მასალები გადაგზავნილი იქნა მერიის ინსპექტორების განმარტოვებულ დანაყოფში.

სამსახური სისტემატურად ჩართულია მერიაში შექმნილი კომისიების (დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში შექმნილი) და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, როგორც მუდმივმოქმედ ფორმატში, ასევე ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით დაწესებულ ადმინისტრაციულ წარმოებებში, მათ შორის:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია“ (შენიშვნა: კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე კომისიას 2022 წლის იანვარში შეუქმნდა უფლებამოსილება, თუმცა, კანონის მოთხოვნების აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, კომისია უზრუნველყოფს სათანადო პროცედურების განხორციელებას, ხოლო მითითებულ ვადაში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გადაგზავნილი იქნა წარმოებაში არსებული მასალები/განცხადებები, რომლებზეც გადაწყვეტილება არ იყო მიღებული);
2. „მოქალაქეობის დადგენის მიზნით პირის ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია“;
3. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი“;
4. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია“;
5. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების შესაძლებლობის, მიზანშეწონილობისა და მოცულობის განმსაზღვრელი კომისია“;
6. ხაშურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია;
7. ზედამხედველობის სამსახურში კომპეტენციით მიკუთვნებული საკითხების შესწავლისა და განხილვის სამუშაო ჯგუფი;
8. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო;
9. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული კონკრეტული ადმინისტრაციული საჩივრის შემსწავლელი და განმხილველი დროებითი სამუშაო ჯგუფი;
10. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის უწყებათაშორისი კომისია;
11. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო;
12. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი და უძრავი ქონების ინვენტარიზაციის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური მერიის ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად ჩართული იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წლის განმავლობაში ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებული კონკურსების ორგანიზებაში.

მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების პარალელურად და სამსახურებრივი საქმიანობის კომპეტენციის, სპეციფიკის და სტატუსიტიდან გამომდინარე, სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მერიის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებში, მერიის დებულებასა და მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების დებულებებში ცვლილებების შეტანას, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების შემუშავებას და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

დავით დვალაძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ებრაელობა სურამში და მათი სამართლებრივი მდგომარეობა

დასასრული, დასაწყისი იხ. „ბმ“ #50 #2)

საბუთებით დასტურდება, რომ ეკლესია ვაჭარ ებრაელებს ათავისუფლებდა საბაჟო გამოსადგებისგან.

მურვანიშვილებსა და კათალიკოსს შორის ებრაელი ყმების გამო, დავაც კი ჩამოვარდნილა. 1766 წლის მარტს, კათალიკოსი ანტონი, ამასთან დაკავშირებით „სარდალ შოშიას“ წერს: „საქართველოს პატრიარქის, მეფის ძის ანტონის კეთილად სახსენებლო ჩვენო სარდალო შოშიავ მრავალი მოკითხვა და ჩვენ მიერ ლოცვა-კურთხევა მოგვისხსენებია. მერმე მურვანიშვილი იესე და ქაიხოსრო და იმისი ძმები, რომ ელიკა ურიაზე ლაპარაკობენ, რომ ჩვენი ყმა არისო, თუ ის ურია ბატონის მამის ჩვენის მეფის დროს და ან ბატონის ბიძის ჩვენის მეფის ვახტანგის დროს ამით მამასა და სახლსა ყოფილიათ, ახლაც ამათვე დაანებებ სწორეს სამართლიანის საქმითა. და თუ ამითი ყმა არ ყოფილა, აქ ჩვენთან ჩამოვიდეს და სამართალს ჩვენ უხამო“.

ამ დავის გარძელება იმავე წლის 27 მაისს კათალიკოსის წერილი ზურაბ ხითარიშვილისადმი: „საქართველოს პატრიარქის მეფის ძის ანტონის იმედო ხითარისშვილო ზურაბ! მერმე მურვანისშვილი... ურიაზედ რომ ლაპარაკობს, მიდი ცხინვალს, თუ ბახახასშივლი და ან თამარაშნელი მოძღვარი მოფიცარო იშოვნოს, რომ ცვეტისცხოვლის ყმა იყოს, ესენი დააფიცე და საჩვენოდ დასდევ და თუ ესენი მოფიცარო ვერ იშოვნოს, აუყარე და მურვანისშვილის მიხარებ, თავის ყმა ყოფილა“. პატრიარქის ბრძანებისამებრ, ზურაბ ხითარიშვილი ცხინვალში მივიდა და „თამარაშნელი მოძღვარი და ბახახასშივლი დავიტო“ „მოსხა“, მაგრამ „ამ ურიას ელიკას ვერ უფიცეს და ეს ელიკა ურია თავის შვილებით მურვანისშვილებს დარჩა. სხვას ხელი არა აქვს ამ ურიასთან. ხელი ავმართე და მურვანიშვილებს მივაბარე, თავისი ყმა არის“ - დასძენს ზურაბ ხითარიშვილი.

ეს დავა მიგვანიშნებს, რომ ებრაელი ყმები ჰყავთ ახნაურ მურვანიშვილებს. სურამში ებრაელებს ფლობენ აბაშიძეები. 1809 წელს, აბაშიძე ანა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ახვედრდოვან ჩიოდა: „ჩემი ბარათში ნარგები ყმა ერთი კომლი სურამს მცხოვრებელი ელია ურია ამ წელს ამეყარა და ქაიხოსრო წერეთელთან მისულა ჩემის ხელის ანნას სიტყვით. რადგან ამისი სიძე არის, იმისთვის აღარ მანებებს და ახლა, რაც საქართველოში თეთრი ქონია გაცემული, წიგნი მოუცია: ყველამ მიეცითო, თორემ არავის შეგარჩენთ. სადაც თეთრი ქონია, ისიც აუღია და იმერეთს გარდღუნა“. აბაშიძე ანა ითხოვს ყმის დაბრუნებას, ამავე დროს იმუქრება, „...ჩვენც შეგვედებო, რომ იმისი ურია ქართლში ენახოთ და მაგიერად დავიჭიროთ“. ყურადღებას იქცევს ანას სიტყვები: „...ურია დიდი მოსამსახურე არის, ჩვენ იმის მეტი თეთრით მოსამსახურე ყმა არა გყავნა... გვედებოდა ამისი მოწყალეობა მოილოთ, როგორც შეიძლებოდა, ჩვენი ურია ისევ მოგვეცეს“.

ტერმინი გორაკაღის 1809 წლის 13 სექტემბრის წერილიდან ანა აბაშიძისადმი, ჩანს, რომ ელია ტოპიაშვილი 12 სექტემბერს „...თავისის ქულფათით აქ სურამს გავხლათ და თავდებათ ჩვენ უდგავართ და თავისი სიამი იხსაკ ხახამიც... ყმა თქვენია. თუ ებოძება თქვენგან მოწყალეობა, იქნება და სამსახურს შეიძლებს“.

ანა აბაშიძე ფლობს კიდევ ერთ ებრაელს - ელია მაღალაშვილს. 1810 წლის 9 ივნისს ანა აბაშიძე და მისი ძე ქაიხოსრო წყალობის წიგნი აძლევს მას. ირკვევა, რომ ელია მაღალაშვილი „აყრია“ აბაშიძეებს და „სხვა სამეფოში“ წასულა ხიძნათ. შემდეგ ისევ დაბრუნებულა უკან და თავისი ნებით მისულა აბაშიძეებთან: „ჩვენ, ამილახურის ასულმა ანნამ და ძემა ჩემმან აბაშიძე ქაიხოსრომ ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ჩვენს ყმას მაღალაშვილს ელია ურიას. ასე რომელსამე ჩვენის ყარახობით ერჩია შენთვის და გაეპირიყვებინე, აგვეყარე და სხვა სამეფოში წახვედ ხიზნათა და რომელიც შენი დანარჩენი გავალებოდა თუ სხვა ნივთი იყო, მე დავპირდი გამორთმევისა, მაგრამ ისევ შენის ნებით მოხვედ ხიზნათა და იმართლე თავი, რომ ის აყრა შენი ნება არ ყოფილიყო, არამედ ჩვენის ყარახობით სხვას ვისმე გაეპირიყვებინე. შეხვეწნოდი მის ბრწყინვალეობას ბატონს აბაშიძეს ჩვენს მახლს სვიმონს და იკადრა მაშუალობა და გვიბძანა შენი გაძლება და აწ, რომელიც შენი თეთრები გავალებული გქონოდა, იმის ისევ მოცემა. და ჩვენ მისის ბრძანებით ეს წერილი გიბოძეთ: ვისაც შენი ფული მართებს, თამასუქები ხომ შენვე გაქვს, მიდი შენს მოვალეობა შენი ფული სთხოვე, თავნიც და სარგებელიც გამორთვი ანგარიშით და რომელიც ამას წინად შენს წასვლის ჟამში შენი ვალი მე ჩემს ახნაურიშვილებს ავადებინე და ბარათი მიეცათ, ის ბარათები უნდა რომ მოსთხოვო და ჩაუგლო ფულად და დანარჩენი ანგარიშით შეისრულო და ყველას ანგარიში გაუწმინდო. რომელიც ჩვენ დაგვიხარჯავს ფული, ჟამზე იმასაც შეგისრულებთ, რომ შენც ვალის პატრონი ყოფილხარ და გაგაძლებინებთ“.

აბაშიძის ასეთი დაინტერესება ებრაელი ყმით განპირობებული იყო იმით, რომ იგი მას „ეთერთ“; ფულადი გადასახადით ემსახურებოდა. ამიტომ არის, რომ ანა აბაშიძე ცდილობს არ დაკარგოს და შედარებით კარგი პირობებში შეუქმნას მას. ისევე, როგორც ქართველი, ასევე ებრაელი, სხვადასხვა მიზეზით (დავალიანება, ტყვედ ჩაყარვანი, შიმშილი და ა.შ.) იძულებული იყო თავი ნასყიდად დაედო. ამის მაკვალითაა სურამელი ბერი ქონაშვილის დრამატიზმით აღსავსე ამბავი. იგი იძულებულია ელისბარ დავითიშვილს „ნასყიდობით მიართვას“ თავისი თავი და ასე დააღწიოს შიმშილს და სხვა პრობლემებს: „...ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი ჩვენ, ქონაშვილმა ბერმა და შვილმა ჩემმა საქარამ, დავითამ, თქვენ დავითიშვილს ბატონს ელისბარს; ასე რომე ამას წინად მურვანიშვილის წყალობის ყმა ვიყავ, იქიდან იმერეთს სულადისათვის წავედი, იქ დამიჭირა ბარათაშვილმა სახინომა სახინოს თავზე და აქადამ აღარცარა მურვანიშვილმა მიპატრონა და არცარა ჩხვიდემ თავს შეიდევა. მყიდად და მის მეტი ღონე არა მქონდა, ზოგი ვალი ავიდე, ზოგი ერთი ჩემი შვილი დავაგირავე და ისე თავი გამოვიხსენე. იქიდან წამოვედი და ბაზიერით-ხუცეს ავთანდილასთან მივედი. ორი წელიწადი ვიყავ იქი. მან ზვირამ სარჩო მიბოძა, მაგრამ ვერ გავეწეე იქაობას. მოვედი, თქვენ შემოგვხვეწე; თქვენ თქვენს სიძესთან მიბძანდით და თავი შეაწყინეთ. იმათ მოყვრობით თავისი ამაგიც თქვენის გულისათვის დასთმო და ჩემი თავი გაჩუქეთ. მეც სულს იქით გზა არ მქონდა შიმშილისაგან და მეც ჩემი თავი ასე ნასყიდობით მოვართვი; ვერას ალაგს ვერ წავიყვარე არც თქვენის მეტი ბატონი სხვა ვიმდომო და თუ სადმე წავიდე, ჩემი თავი დემერეთს მან ბატონყმობის საქმეზე წასახდენათ გახმაროს. რადგან ამდონი წყალობა მიყავით, რომ ნაჩუქარიც ვიყავი, სარჩო არ მქონდა, სარჩოც მიბოძეთ და, შვილი რომ მყავს დავირავებული, იმის დახსნასაც დამპირდით, მეც ამაგის გულისათვის ჩემი თავი ნასყიდობით მოვართვი“.

ამ ამბის გაგრძელება ავთანდილ ერისთვის-შვილის მიერ ელისბარ დავითიშვილისათვის მიცემული ნაჩუქრობის წიგნი, საიდანაც ირკვევა, რომ ელისბარ დავითიშვილმა, პირობისამებრ, ბერი ქონაშვილის შვილი დაიხსნა: „ესე წიგნი მოგვეცით ჩვენ, ერისთვის-შვილმან ბაზიერით-ხუცესმან ბატონმა ავთანდილ თქვენ, დავითიშვილს ბატონს ელისბარს; ასე რომე ურიები მომივიდნენ, არაგვის პირს მესახლენ. თქვენ მობძანდით აქ თქვენის დის სანახავად და თქვენ იმ ურიებს დაგუენუქენით. ჩვენც მოკითხული ვქენით, ვალიც ემართა და შვილიც იმერეთს დავირავებული ყუანდა. ჩვენ არა თავს შევიდეთ და ის შვილიც თქვენ დაუსხენით, ვალიც თქვენ გარდაუხადეთ და შიმშილობა იყო და ძუელობითაც თქვენ გამოკუებეთ. ჩვენც სხვა ნაჩუქრის მაგიორად გაჩუქეთ ერთი კუამლი ნაცვალაშვილი მოძღვარა, შაბათა და

მეორე კუამლი ქონაშვილი ბერი მათის შვილებითა. ასე მოგვირთმევია, რომ არას კაცს ამათთან ხელი არა ქონდეს, არც ჩუენს სახლის კაცსა, არც სხვას კაცსა, არც სხვას ვისმე“.

იაკობ ბინიაშვილი ლეკებმა გაიტაცეს. ტყვეობიდან დარეჯან ბატონიშვილმა - ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლემ დაიხსნა. ამის სანაცვლოდ იაკობ ბინიაშვილი ყმობის წიგნი აძლევს დარეჯან ბატონიშვილს: „ესე წიგნი მოგართვით ჩვენის ხემწიფის შვილს ბატონს ბატონიშვილს დარეჯანს მე, იაკობამ და ძმამქა ჩემქაქა ისხაკამ ბინიაშვილმა. ასე რომე დავიკარგე ლეკისაგან და დამიხსენით და მერმე პირობა მოხოვეთ. ჩვენ ასე პირობა მოგვირთმევია ღვთის წინაშე: სანამდი ცოცხალი ვიყოთ, თქვენი მოსამსახურე ვიყოთ; რომელიც თქვენ გვიბძანოთ, თქვენის ბძანების მორჩილი ვიქნეთ; არ თქვენს მეტი ბატონი ჩვენ ვინდომოთ“.

სასამართლოს წინაშე ებრაელი და ქართველი თანაბარი უფლებით სარგებლობდა, კანონის წინაშე ყველა თანასწორი იყო. მართალია, საბუთებში ვხვდებით ებრაელთა განსჯას ებრაელი სამართლით, მაგრამ დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა ებრაელი სამართალწარმოების წესების ნაწილი. ისინი ნებაყოფლობით ლეუქობდნენ ქართულ სამართალწარმოების წესებს. ქართულ სამართალწარმოებაში დიდ როლს ასრულებდა ფიცითი სამართალი, რაც ებრაულ სამართალში მნიშვნელოვანი მტკიცებულება არ იყო. მიუხედავად ამისა, ქართველებთან თანაცხოვრებით ებრაელებმაც აღიარეს ფიცი მნიშვნელოვანი მტკიცებულებად. ქართველები იფიცდნენ ეკლესია-მონასტრებში, ხოლო ებრაელები სინაგოგაში ძველ ებრაულ ენაზე დაწერილ ბიბლიაზე. ქართლის ებრაელები იფიცდნენ „ავალიანთ დაბადებაზე“.

მამინ, როდესაც ევროპაში მივინვარებდა ანტისემიტიზმი, ფეოდალურ საქართველოში ეს არ ჩანს. არცერთ ქვეყანაში ებრაელები უფლებრივად არ ყოფილან გათანაბრებულნი ადგილობრივ მოსახლეობასთან, როგორც ეს საქართველოში იყო. ა. კრიხელი შენიშნავს, რომ საქართველოში საქმე გვაქვს „ებრაელთა არა იზოლირებასთან, არამედ მის სრულ გაიგივებასთან უფლება-მოვალეობაში თავის სოციალურ მომქებთან“.

ყურადღებას იქცევს ხიდირბეგიშვილებსა და სურამელ მანაშერაშვილებს შორის დავა ყმობის თაობაზე, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართველი ებრაელების მაღალ სამართლებრივ მდგომარეობაზე ფეოდალურ საქართველოში.

დავა ხიდირბეგიშვილებსა და მანაშერაშვილებს შორის ასე წარმართა: 1708 წელს დომენტი კათალიკოსმა წყალობის წიგნი მისცა ისხაკა მანაშერაშვილს. ვგებულობთ, რომ მანაშერაშვილები იმერეთიდან გადმოსულან და სვეტიცხოვლის ყმები გამხდარან. ამასთან დაკავშირებით, წყალობის წიგნი ნათქვამია: „...კურთხეულმან და სრულიად საქართველოს მაკურთხეველმა და მამადმთავარმა კათალიკოს-პატრიარქმა პატრონმა დომენტმა ბატონისშვილმან ესე უკუნიხამდე ჟამთა გამოსადეგი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწავლე და გიბოძეთ შენ, ისრაელს მანაშერაშვილს ისხაკას და ძმასა შენსა შალომასა და იოსებს და მომავალსა სახლისა თქვენისა ყოველთავე. ასრე და ამა პირსა ზედა, რომე თქვენ იმერეთიდან გარდმხვედით და სვეტიცხოველს ემევიეთ და ჩვენ სვეტიცხოვლის ქრცხილვანს დაგასახლეთ და სვეტიცხოვლის ბეგარა დაგდვეთ. წელიწადში მცხეთას ორს ლიტრას სანთელს მისის შულოთი მოიტანდეთ ხელმარხვაში და რაც ბაჟი გამოგივიდოდეთ, იმასაც ჩვენს მებაჟეს მოსცემდეთ. ამასდა გარდა არა გეთხოვოდეთ არა არა სახემწიფო ბაჟი და სათხოვარი, არა ბაჟი, არა სამოურაო ბაჟი, არა საამილახორო, არა საბატონიშვილი ბაჟი, არა ქრცხილვანის ბაჟი, არა ალის ბაჟი, არა სურამის ბაჟი, არა ახალდაბის ბაჟი, არა გეთხოვებოდესთრა, არც ულაყი და ტიკი და ტომარა ერთის ნაჩვენოს ბაჟისა და სანთლის მეტი. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა და სვეტიცხოვლის სამსახურსა შინა. და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა სხვათა კათალიკოსთა და მუპატრონეთაგან. ხოლო დამამტკიცებელი ამისნი ღმერთმან აკურთხოს“.

გავიდა თითქმის 90 წელი და 1798 წელს დაიწყო ხიდირბეგიშვილების დავა მანაშერაშვილებთან ყმობის თაობაზე. ხიდირბეგიშვილები მათ ყმობაზე აცხადებენ პრეტენზიას, ხოლო მანაშერაშვილები საეკლესიო ყმებად აცხადებენ თავს. მდგომარეობა იმდენად იძაბება, რომ საჭირო გახდა დავაში სამეფო კარის ჩარევა. მანამდე კი, 1798 წლის 24 ივლისს, ისხაკა მანაშერაშვილმა და მისმა ძმებმა ბატონყმობის წიგნი მისცეს მამუკა ხიდირბეგიშვილს: „ეს წიგნი მოგართვით ჩვენა ბატონს ჩვენს მამუკას და თქვენს შვილს იოვანეს მე, ხიზნისშვილს ხახამ ისხაკამ, ძმამ ჩემამ აბრამამ, დავითამ და მანუას და მოშამა. ასე, რომ თქვენი ყმა გახლდით და ცოტა რამა სანდურავე და ლაპარაკი მოხდა. მერე ისევ ერთმანეთის გული შევაჯერეთ, ისევ ბატონყმობაზე ვავრივდით. როგორც აქამდინა მწყალობელი ბატონი ბძანდებოდით და ჩვენა ერთგული მოსამსახურე ყმანი გახლდით ისევე ერთგული მოსამსახურე ჩვენა ვიყვნეთ, ისევ მწყალობელი თქვენა უნდა იყვნეთ. დღეს და დღეის იქით ერთმანეთთან სიყვარულის და ერთმანეთთან ტკბილი ბატონყმობის მეტი საქმე აღარ გვექონდეს“.

1798 წლის 5 აგვისტოს, კათალიკოს-პატრიარქი ანტონი, თავის მხრივ, წერილს აძლევს მამუკა ხიდირბეგიშვილს მანაშერაშვილების მისთვის დანებების თაობაზე: „ჩვენ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმან, ძემან მეფისა ირაკლი მეფისამან, ანტონი. ესე წერილი მოგვეც შენ, მამუკა ხიდირბეგისშვილს და შვილსა შენსა იოვანეს. ასე რომე ურია ხახამ ისხაკამ და იმისმა ძმამ აბრამამ დომენტი კათალიკოსის სიგელი მოგვართვეს და რაც სახელი და გვარი სწერია იმ სიგელში, ჩვენ ვართო და მით სვეტიცხოვლის ყმობა თქვენს და მოგახსენეს, შენ მიუგებდი, ამ პასუხს - თქვენ ვენი არა ხართ. რომელიც მაგ სიგელში სწერიან, ისინი სხვანი არიანო. ჩემნი ყმანი ხართ, ხიზნის შვილებო. თუნდა სვეტიცხოველში დავიფიცამ და მის მერმეთ როგორც მოხდა ჩვენ აღარ დაგავიციეთ და ისევ შენ დაგანებეთ და დაგიწერეთ. ის წერილიც დაგკარგოდა და მეორის გაახლებას დაგეგავე და გაგიახლეთ და გიბოძეთ წერილი, მაგრამ იმ მეორის წერილის შემდგომადაც კიდევ თქვენმა ლაპარაკებმა და საჩივრებმა გაიარა. მერმე ამ ურიებს შენთვის ბატონყმობის წერილი მოეცა ჩვენის მაღვით. მასუკან შენ ის წერილი გვაჩვენე და მე იმ წერილს არ დავჯერდო და ერთი ურია შენ, რომ წარმოაყენე ის ამბობდა, ეს დომენტი კათალიკოსის წერილი ამ ურიებმა იყიდეს ოთხ მინალთუნათო და სხვას გვარის კაცისა არისო. ჩვენ ამ ურიის ღიღონს სიტყვას არ ვუწმუნენით და ბრეთს გავგზავნეთ. ავალიშვილებს, რომ დაბადება აქვს, ის თავისი მოწმობა იმ დაბადებაზედ დავაფიცებინეთ და მისთვის შენვე დაგანებეთ ეს ურიები თავისის შვილებით და მამებით. მაგრამ დომენტი კათალიკოსის წერილმა უნდა გვიპოვნოს ის ურიები, თუ სად არიან, რომ ეკლესიას თავისი ყმები არ დაეკარგოს და სურამელებს მუჯალამა რომ შეეწერათ, ეს ურიები სვეტიცხოვლის ყმანი არიანო, ტყუილათ რათ მიაწერეს მოსამართლემ და მოთანამდე მე ვალის ქვეშ იქნება თუ ჯარიმას არ წართმევეს იმ სურამელებს. ჩვენ ამ ურიებისათვის ძალიან გვინდოდა რომ გარდაგვეხდევინებინა, მაგრამ შენ გვევედრე და ამისთვის აღარ გარდაგახდევინეთ-რა“.

1799 წლის 18 სექტემბერს, მანაშერაშვილებმა ფარნაოზ ბატონიშვილს არზა მართვეს, რომელშიც აღნიშნულია: „ღმერთმა ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ძის ფარნაოზის ჭირი მოსცეს მანაშერაშვილებს ხახამს ისხაკს, აბრამიას, დავითას, მანვახას და მოშას. მათ სიმაღლეს ამას მოვასხსენებთ: ჩვენი მამა-პაპა სვეტიცხოველის ყმანი ყოფილან და მათის უწმინდესობის დომენტი კათალიკოსის წიგნიც გვექონდა. ამას წინათ ბატონს პატრიარქთან უწივლეთ და სვეტიცხო-

ებრაელობა სურამში და მათი სამართლებრივი მდგომარეობა

ოქლისათვის კიდევ გამოვიტანა. მასუკან ბატონის დედოფლის პირის ფარე- შამ და ქეთანამ (?) კათალიკოსი შეაწუხეს და მრავალი ქრთამიც დახარჯეს და კათალიკოსისგანაც ეს წიგნი აიღეს, რომ მამუკავ შენს ძმებს გარდა მარტო შენთვის მამიცია. ამ მამუკამ რაკი რომ თავისთვის გვიშოვნა და თავის ძმებს წილი აღარ დაუღვა. შგოთი ჰქონდათ ჩვენზე და კათა- ლიკოსთანაც ასე უწიველეს, თუ რომ ჩვენი ყმა არის სამკვიდრო ოჯახისა, ხომ საყოველთაო არის და თუ ეკლესიისა არის ეკლესიასა ჰქონდესო. მათს უწმინდესობას სურამელთათვისაც მოწმობის მოწერის ოქმი მოეწერა და ჩვენც სასამართლოში დავებარებინეთ. სურამელთაც მოწმობის მუჯალამა დაავიწერეს და ჩვენც სამართალში ვიახელით, მაგრამ ჩვენის ცოდვით და უძღურებით ჩვენი თავი ასე შეგვაბუხდეს. რამდისამე მიხეზით არც ჩვენის მოწმობის მოწმობა შეიწმინდეთ და არც ჩვენს საჩივარს ყური მიუგდევით და ამას გვედრებით და სანატრელს ხელმწიფეს მამას გაფიცვით ჭეშმარიტის გამოძიებით სამართალი მოგვცე და ეკლესიის მოვალე ნუ გახდები და ნურც ჩვენ გაგვხდი ეკლესი[ი] მოვალეს, ღმერთი გაგიმარჯვებს“.

ფარნავაზ ბატონიშვილმა, იმავე წლის იმავე დღეს, განიხილა მანაშერაშ- ვილების საჩივარი და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: „მეფის ძე ფარნავაზ გაუწ- ყებთ სურამში მსახლობელნი ქართველნი, სომეხნი და ურიებო! ამ არხის პატრონებს რომ ასე მოუხსენებიათ, ამაზედ ღმერთს გაფიცვით და თქვენს სარწმუნოებას და თქვენს სულს, ამათი საქმე რომელთაც როგორ იცოდეთ ღმერთის წინაშე ამის აღიდათი ჭეშმარიტებით მოგვახსენეთ“.

სურამში მოძიებული იქნა ინფორმაცია მანაშერაშვილების ხიდობეიშ- ვილების ყმობასთან დაკავშირებით და ფარნავაზს აცნობეს: „ჩვენ, სურამის სამღვდელთა გიორგი და ტერ-მიქელ ჩვენს ხელმწიფეს ბატონიშვილს ფარ- ნავაზს ამას მოვახსენებთ: ჩვენ ხომ იმ ჟამის მომსწრე არა ვართ და ამ მოხუცებულთ კაცთ ეს მოწმობა ფიცით ასე მოვახსენეს ჩვენის თანდასწრე- ბითა.“

მე, სურამის მამასახლისი გაბრიელ, ჩემს ბატონს ამას მოვახსენებ: ამას წინათ, რომ მანაშერაშვილი ხიდობეიშვილს მათ უწმინდესობასთან უწიოდა, მანაშერაშვილმა თავიც სამართალი გაიტანა სვეტიცხოველის ყმათა, მაგრამ პირის ფარეშამ და ქეთანამ ბატონი პატრიარხი შეაწუხეს და ქრთამიც დახარჯეს და ოქმიც ასე უბოძა მამუკას – მარტო შენთვის მიბოძებიაო.

ჩემს ხელმწიფეს ბატონიშვილი ფარნავაზს მე, მარდახია ურია ამას მოვახსენებ: მანაშერაშვილებს აღიდათი, რომ გვებძანებინა, ღმერთსა ვფიცავ და თქვენს თავსა, რომ ამათი საქმე ასე იყო: ძველითავე სვეტიცხოველის ყმა ყოფილან. ავის დროს მიხეზით აყრილან და სურამს ხიხნათ მოსულან. რაკი რომ ურიები ყოფილან, ჩვენს მამა-პაპათ სახლის ადგილიც მიუციათ და სხვა რიგი ნუგეშიცა. იმ ჟამის ბატონის ბძანებით ხიდობეიშვილებს ციხე ბარებით და ამ მიხეზით მიუძღვარებიათ. ჩემის მამა-ბიძებისაგანაც ასე ვიცი და მეც ასე მახსოვს. ამას წინათ კიდევ სანატრელი ბატონი არ- ბოს, რომ ბძანდებოდა, ხიდობეიშვილებს მურვანის შვილებისათვის სისხლს აძლევინებდა იმ ჟამად, ჩვენ, სურამელებიც იქ გახლდით. სანატრელმა ბატონმა მიბძანა, შენ ხომ სურამის მოხუცებული და მამსწრე კაცი ხარო, ხიდობე- გის შვილისა ასეთი სამკვიდრო ყმა და მამული უნდა გამოარჩიო, რომ არც სახემწიფო იყოს, არც საეკლესიო და არც სხვისა ვისიმე საღაო იყოსო.

მან აძლევინებდას ვამატანა და მდივანბეგებთან და თავადისშ- ვილებთან გამისტუმრა, რომ გიორგი ერისთავიც იქ ბძანდებოდა. ხაშური აძლიეს ნახევარი, ჩვენი სახასო მამული იყო და ბატონმა არ ინება მიცე- მა. მანაშერაშვილები აძლიეს და სვეტიცხოველის ყმა, რომ იყო, არც ამისი მიცემა ინება. ქრთამი აძლიეს და დედოფლის ყმა იყო ოსყერელი და არც ეს ინება და ხიდობეიშვილს სამკვიდრო ბებიას შვილი და კალა- ტოხის შვილი მისცეს.

მე, ბინია ურია ღმერთსა ვფიცავ და ჩემს დაბადებას. რომელიცა, რომ ამ მარდახას მოუხსენებია, ამის მომსწრეცა ვარ. ამას გარდა კიდევ, მანაშერ- ას შვილს იოსებს მამა-ჩემა ქალი მისცა. ერთხელ ხიდობეგმა იოსებს თე- თრის თხოვნა დაუწყო. იოსებმა გაექცა, კათალიკოსის ყმა ვარ და იმასთან წავალო. ხიდობეგ ბიძაჩემს შემოეხუწა, ოღონც ეს შენი სიძე შემომარბევ, აღარც თეთრსა ვთხოვ და არც-არას შევაწუხებო. ამ პირობით მოაბრუნა ბიძაჩემსა.

მე, ნებიერიძე გაბრიელ ღმერთსა ვფიცავ და ჩემს ხელმწიფესა, რომ ჩემს მამა-ბიძათაგან და ძველი კაცებისაგან ეს მანაშერაშვილები სვეტიცხო- ველების ყმათ გამოიგონია.

მე, ციხისთავი კაკალაშვილი ბერი ღმერთსა ვფიცავ და თქვენს თავსა, რომ ძველის კაცებისაგან ეს მანაშერაშვილები სვეტიცხოველის ყმათ გამოიგო- ნია. მე, ლორთქიანიშვილი არუთენა ღმერთსა ვფიცავ და თქვენს მხესა. მა- მაჩემი მამასახლისი იყო და ას წლამდინ მიწვეწული კაცი იყო და იმისგან გამოიგონია, რომ ეს მანაშერაშვილები სამცხეთონი ყოფილან. ამას გარდა ამას წინათ სურამის ბაჟი მეჭორა. ხიდობეიშვილის კაცებს ყველას ბაჟს ვართ- მევედ და ამ მანაშერას შვილებმა კი არ მამცეს. ბატონთან უწიველ. ნიკოლოზ მდივანბეგზედ ოქმი მიბოძა, ბაჟი გამოურთვი და მოეცო. მდივანბეგმა, რომ ბაჟის თხოვნა დაუწყო, მანაშერას შვილებმა დომენტი კათალიკოსის ყმობის წიგნი მოუტანეს. მერე მდივანბეგმა მიბძანა, საწყევარი საქმე რათ გინდაო, სამცხეთო ყოფილაო და აღარ გამამართმევინა.

როგორც 1800 წლის 4 ივლისის საბუთიდან ჩანს, საკითხზე იმსჯელა „მსაჯულთშეკრებულებამ“. მანამდე კი ნინია ხიდობეიშვილმა გიორგი XII-ეს დაამტკიცებთ ვახტანგ VI დაეთარა წარუდგინა, რომლის მიხედვითაც ჩანდა, რომ მანაშერაშვილები ხიდობეიშვილის ყმებზედ ეწერენ. მეფემ ვახტანგ VI -ის დაეთარცა და მომჩივნებიც „მსაჯულთშეკრებულებამ“ წარუგზავნა: „ხიდობეიშ- ვილი ნინიას სურამელი თავისი ყმები ურიანი ისაკ, აბრამ და იმისი ძმები, რომ სვეტიცხოველის ყმობით ედავებოდენ და ურიათ განაჩენით ფიცი დაედ- ვათ, შემდგომად იმ განაჩენის დაწერისა ხიდობეიშვილის ნინიას მათის უმა- დლესობის მეფისათვის მეფის ვახტანგის დაეთარი მიერთშია, რომელშიაც ამ მოჩივართ ურიათ ისაკ, აბრამასა და მის ძმათ, მამა-ბიძებისა და განაყოფის სახელები სურამში ხიდობეიშვილის ყმად ეწერა. მათს უმაღლესობას მეფეს, მეფის ვახტანგის დაეთარცა და ორნივე მოდავენი ჩვენ მსაჯულთშეკრებულე- ბასთან წარმოეგზავნა და ოქმით ებძანა, ეს დაეთარი განხრიკეთ და სამარ- თალი ისე უსაჯეთო“.

გაიმართა სასამართლო ექვსი მსაჯულის მონაწილეობით. „ჩვენ მეორედ უმაღლესის ბძანებისაგან გამოძიება ვყავით და სამარ- თალში ვაღაპარაკეთ.

ურიანი აძმობენ: ამ მეფის ვახტანგის დაეთარში, რომ მანაშერა ურია ხიდობეიშვილის ყმად სწერია, ჩვენ იმისი შვილები ვართ, ცხინვალისად ავიყარენით, სურამს ხიხნად მოვედით და მძღავრობით ყმად დაგვიჭირეს და ხიხნის შვილებად დაეთარში დაგვწერესო.

ხიდობეიშვილი მიუკებდა: თქვენ ჩემი მკვიდრნი ყმანი ხართ, როგორც

ძველი დაეთარი აცხადებსო და დომენტი კათალიკოსის სიგელში რომ სვეტ- იცხოველის ყმად მანაშერა ურია, ისაკა, შალომა და იოსებ სწერია, ისინი სხვანი არიანო“.

„მსაჯულთშეკრებულებამ“ გადაწყვიტა: „რადგან შესწამებს ხიდობეიშვი- ლი, რომ თქვენ იმათი შვილები არა ხართ, ისინი სხვანი არიანო და მეფის ვახტანგის დაეთართ ყმად უწიდება, ამისთვის მარტო მოჩივართ ურიათაგან ფიცი კმასაყოფელად ვერ შევრაცხეთ. და ჩვენ რომ განაჩენით მარტო მო- ჩივართ ურიათ ფიცი დავაღვეით, იმავე განაჩენს მეფის ვახტანგის დაეთართ, რომელშიაც ხიდობეიშვილის ყმად აცხადებს, მხოლოდ ეს შეგსძინეთ, რომ ორის შეგდებულის მოწმობით შეგვიცონ, ორი ურია სურამიდან და ორი ურია ცხინვალისად, რომელიც ხიდობეიშვილს უნდოდეს, შეუგდოს; ოთხში ორი იმონ და ხუთთავ ძმა რის მოწმობით ავალიანთ დაბადებაზე ასე შეგვიცონ, რომ „რომელიც დომენტი კათალიკოსის სიგელში ურიანი - მანაშერა, ისაკა, შალომა და იოსები სწერია სვეტიცხოველის ყმად, ჩვენც იმათი შვილებიც ვიყვნეთ და სვეტიცხოველის ყმანიც ვიყვნეთ. თუ არ მძღავრობით, სამარ- თლით თქვენ ჩვენთან საბატონყმოდ საქმე არა გქონდესო“. თუ ასე შეგ- ფიცეს, დარწმუნა სვეტიცხოველს, და თუ ვერ შეგვიცეს, დარწმუნათ ხიდობე- გის შვილებს“. მანაშერაშვილები აცხადებდნენ, რომ „ურიათ მოფიცარი არ აქესო“, რაზეც „მსაჯულთშეკრებულებამ“ „გამოძიება პყვეს“ და აღმოჩნდა, რომ ებრაელების მოფიცრად „შეგდება“ ჩვეულებრივი მოვლენა იყო: „ამ ურიების მხარეს მოდავენი რომ ამბობდნენ, ურიათ მოფიცარი არ აქესო, ამაზე გამოძიება ვყავით. ახალ- დაბეღმა ურიამ ისაკამ მოგვახსენა მოსამართლეთ: დედოფალთან სარჩელი გეკონდა და განაჩენით ღმერთს ურიათ შეგდებული მოფიცარი დაედვათო. კიდევ ამირეჯიბმა ზაზამ იმწმობა: მე იასაულათ ვიყავ რომ ფალავანდიანთ ურიებს შეგდებული მოფიცარი დაედვათ და ასე შეგვიცესო. ამით უმტკესად დავამტკიცეთ, რომ, როგორც ამ განაჩენში სწერია, ასე უნდა აღსრულდეს“. „მსაჯულთშეკრებულების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება გიორგი XII დაამტ- კიცა.

1800 წლის 25 ივლისს, მანაშერაშვილები ყმობის წიგნს აძლევენ ხიდობეიშ- ვილს: „ესე წიგნი მოგართვი მე, შენმა ყმათა მანაშერაშვილმა აბრამამა და ჩემა შვილმა იოსებამა და აბათარამა შენ, ბატონს ჩემს ხიდობეიშვილს ივანეს, შვილსა შენსა დავითს და დემეტრესა. ასე რომა მე და თქვენ ბატონყმობაზე ლაპარაკი მოგვივიდა მალზე. ბატონთანა და კათალიკოსთან ეწიოდით, დიდხანაც ვიდავეთ და ვილაპარაკეთ, მაგრამ ღმერთმა და სამარ- თალმა ჩემი თავი შენ მოგცა ყმათა დღსა და დღეის იქით ვფიცამ ღმერთსა და ჩემს დაბადებას, შენს უკეთესი არც ბატონი მინდოდეს, არც ძველთაგან მეოლოდეს. ახლა მამცემია თავდებათ ღმერთი და ჩემი წმინდა დაბადება. კაცთაგან კაკონაშვილი აკოფა, კოჟი[ან]ს[ვილი] დავითა. თუ დღეს და დღეის იქით ან ბატონთან გიჩვილო, ან შენი ურიო, ან ბატონთან, ან ყმას ტან ვთქვა და გიმტყუნო, ჩემი დანაშაული ნახო რამე, ამა ჩემა თავდებებმა პა- სუხი მოგცენ და მე ამა ჩემს თავდებებს თუ უმტყუნო რამე, ღმერთთან და ბატონთან პასუხი გავცე. თუ უმტყუნო და უხთოთ, ან ტყარმა, ან სიკვდილმა არ აყარა, თავის ნებით აიყარა და წავიდეს საღმბე, პასუხი ჩვენ მოგცეთ. არის ამისი მოწმამე ადელი მამინაშვილი გაბრიელა, ფასუაშვილი როსტომა. მე, კაკონას შვილს აკოფს დამიწერია აბრამას ყაბულით, მოწმეც და ყაბულიცა მაქვს ამისი...“

მართალია, ფიცი შემოგვაგდეს ოთხის მოფიცრით, ფიცი დაგვეღვა და ვეღარ შემოგვიცეთ. ღმერთმაც და სამართალმაც ჩემი თავი შენ მოგცათ. ამა წიგნისა მე აკოფა [კაკონას შვილი] და კოჟიას შვილი დავით სამს წლის თავდებო ვართ“.

1801 წლის 3 თებერვალ, ხიდობეიშვილებსა და მანაშერაშვილებს შორის დავას წერტილი დაუსვა დავით ბატონიშვილმა, რომელმაც მანაშერაშვილები სვეტ- იცხოველის ყმებზედ გამოაცხადა: „მათის იმპერატორების დიდებულება ყოველად მოწყალის ხელმწიფის ნებით ჩვენ სრულიად საქართველოსა და სხვათა მემ- კვიდრემ და მმართველმან რუსეთის დენერალ-ლეიტენანტმა და კავალერმან მეფის გიორგი მეათსამეტიცა ძემან დავით ხელახლა განვაახლე შეწირულება ესე და შემოგწირე ადრიდანვე შეწირული ურიები მანაშერაშვილები ხახამი ისაკია, და- ვით, აბრამია, მონაშა, მოშა, შენ დიდსა ცათა მობაძეგსა და სამოციქულო კათო- ლიკე ეკლესიასა მცხეთას და მას შინა ღვთივ-ადმართებულსა სვეტიცხოველსა. კვართსა საუფლოსა და მირონსა უკვადემყოფელსა, რათა ამიერიტგან წერილითა ამათ იყოს გახლებული შეწირულება ესე მტკიცედ და უცვალებლად და ნუშცა ვინ იქნებთან მკადრენი შემდგომათაც შინა შეხებად და შლად შეწირულებასა ამის წერილისა, რათა არა დიდსა მას ეკლესიისა რისხვისა ქვეშე შევარდნენ, არამედ იყვნენ დამამტკიცებელნი ამისნი, რომლისათვისაცა მიიღებენ მადლსა და კურთხ- ევასა ღვთისაგან უკუნისამდე“.

ხიდობეიშვილების მიერ მანაშერაშვილების საეკლესიო ყმებზედ აღიარების დასტურად უნდა მივიჩნიოთ ერთი გვიანდელი საბუთი, რომელიც წარმოადგენს ყარამან ხიდობეიშვილის კნენა კეკელას მიერ ბინო მანაშერაშვილისადმი მიცემულ მიწის ნაყიდობის წიგნს. მასში ნათქვამია: „ესე ამიერიტგან უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალადელი ნაყიდობის სიგელი დაგიწერე და მოგვცით ჩვენ, სურამში მცხოვრებელმან თავადმა ყარამან[ი] ხიდობეიშვილის კნენა კეკელამა და შვილმა ჩემა შაშამა და ჩიტომა და მიხაკამა და მახლამა ჩემა თავადი ხიდობეიშვილის ივანეს ქემა დომიტრი ხიდობეიშვილმა და მახლისწულმა ჩემა ილიკომ და მამავალმან სახლისა- მან ჩვენისამა თქვენ, ამავე სურამში მცხოვრებთა საეკლესიო ყმათა ბინო მანაშერაშვილსა და შვილსა შენსა მოშესა და ელიასა და მამავალსა სახ- ლისასა შენსასა. მას ჟამსა როდეს დამჭირდა და მოგვიდე ჩვენი მამა-პაპისა სამკვიდრო სურამში მღებარე ბაღის ადგილი თავისის სამძღვრებითა: თავს ნინიკა გავოშიძის მიღვამინა, ბოლოს კიდევ გავოშიძის მიღვამინა, ერთი გვერდი ისევ გავოშიძის მიღვამინა, მეორე გვერდი ფრონე წყლამინა. ავიდე ფასი სრული და უკვლაველი, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა, ესე იგი ექვსი თუმანი. მოგცეს ღმერთმა და გიბედნიეროს და მოგახმაროს, როგორათავ სხვათა ალაღთა მონასუიდეს მოხმარებოდეს. ესე ამიერიტამ არ- ავითარ გვეღოს ვინმე, არცა ვენ და არცა მომავალი ჩვენი სახლისა. უკეთუ წამოგვდაოს ვინმე ამ ჩვენს მოსყიდულს ბაღის ალაგზე, პასუხი ჩვენ მივცეთ და ანუ ვინცა სიგელსა ამ[ის]სა ხელი შლად ყოს, მასამც რისხამს პირი მლთისა და ყოველი მისი წმინდანი, ამინ!“.

საბუთებიდან მოტანილი ვრცელი ამონარიდები, მიგვანიშნებს იმ მდგომარეო- ბაზე, რომ ფეოდალურ საქართველოში შესაძლებელი იყო დაბალი ფენის წარმო- მადგენლების დაპირისპირება სოციალურად მაღალი ფენის წარმომადგენელთან და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება.

ამ შემთხვევაში გამონაკლისი არც სხვა ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ. კერძოდ, ებრაელს შეეძლო ქართული მართლმსაჯულებიდან მიეღო იურიდიულად სწორი გადაწყვეტილება. იგი ქართველებთან თანაბარი უფლებით სარგებლობდა მართლმსაჯულების დროს. უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როცა სამეფო კარი მოითხოვს მართლმსაჯულების დროს ეს თუ ის პირი, ამ შემთხვევაში ებრაელი, გან- საჯონ ებრაული სამართლით. ასეთ მიდგომას პრეცედენტი არ მოეპოვება მსოფ- ლიოში, მით უფრო ებრაელების მიმართ.


სოფელი ალექსანდრესწყარო ახალ სიცოცხლეს იწეებს



ურბანიზაციის დონის ზრდამ ქვეყანაში, ბევრი სოფელი მხოლოდ ნაყოფიერად აქცია და სტატუსი დაუკარგა. დამეთანხმებით, ეს დიდი ტრაგედიაა ჩვენისთანა პატარა ქვეყნებისთვის. იმაშიც დამეთანხმებით, რომ თემის გაშლა, ძალიან შორს წაგვიყვანს. ერთ უპრენცივდენტო ამბავზე გვინდა მოვიყვებო. სოფლის მასშტაბზე, რომელმაც ერთი იდეის ქვეშ 300 ადამიანი გააერთიანა და სოფელში დაასახლა. **სევა გოგინაშვილი**, მეგობართან ერთად, სოფლის აშენება გადაწყვიტა. ხალხის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ალექსანდრესწყაროში იპოვა ის პირობები, რაც ჭირდებოდა თანამედროვე სოფლის შენებისთვის. პროცესები დაწყებულია, საძირკველი გაჭრილია და მხოლოდ სამხმინიანი სიმდერალა დარჩა.

როგორ დაიწყო ეს ყველაფერი, ამაზე რომ გვესაუბროთ?

-თავიდან, იდეა განიდა, ტურისტული სოფელი გაგვეშენებინა, თან გვინდოდა, ეს სოფელი ხაშურში ყოფილიყო. დაიწყეთ შესაბამისი ადგილის ძებნა. ძველი სოფელი ალექსანდრესწყარო ენახეთ. ძალიან მიმზიდველი აღმოჩნდა, თავისი კლიმატით, მდებარეობით. ზღვის დონიდან 1200 მეტრზეა, სამი კლიმატი იყრის თავს, ყველა სეზონზე ლამაზია და ხაშურს გადმოყურებს თავზე. სოფელი მდიდარია ცივი წყაროებით. ამჟამად, სოფელში რამდენიმე მოსახლე ცხოვრობს. რადგან გვეკონდა იდეა, შესაბამისი ადგილიც ვნახეთ, ამ იდეის გარშემო ბევრი ადამიანი გავერთიანდით. სოფელში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები იყო, რომელიც კერძო საკუთრებას წამოადგენდა და გადაეწვივებოდა მისი შექმნა. რადგან სოფელი უკვე მოშლილია, ძველი სოფლის აღდგენა-გაცოცხლება გამოდის, რომლის წიაღშიც ახალი სოფელიც გაშენდება. ამ დროისთვის, ჩვენი მცდელობებით, რამდენიმე ოჯახი სოფლადაც დავაბრუნეთ. გაუნდათ მოტივაცია, დაიწყეს სოფლის მეურნეობის წარმოება.



რამდენი ადამიანი გაერთიანდით იდეის გარშემო?

-მე და ჩემი მეგობარი ვართ და ჩვენს გარშემო გაერთიანდა დიდი სამეგობრო. ყველაფერს საკუთარი ძალებით და ფინანსებით ვაკეთებთ, პროექტებში არ მიგვიღია მონაწილეობა.

ხაშური იმდენად გვიყვარს, არც დაგვიშვია, სხვებთან გაგვიკეთებინა ეს პროექტი. სტრატეგიულადაც ძალიან საინტერესო და მოსახერხებელია, ყველა რეგიონისთვის.

რა ფართობზე გაშენდება სოფელი?

-ტერიტორია, რომელიც სოფელს დაეთმობა, 18 ჰექტარი იქნება, 300 მოსახლე განთავსდება. მიწების ფასი იმდენად დაბალი იყო, ძალიან ბევრი



დაინტერესდა და წამოვიდა სახლის ასაშენებლად. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს გენგეგმის დამტკიცების პროცედურები. რომელიც ერთიანი იქნება ყველა მოსახლისთვის და განაშენიანების ერთი წესი იმოქმედებს. რომ გადახედოთ უკვე დასრულებულ სახლებს, ყველა ერთნაირი იქნება. 300 მოსახლე იქნება და იერ-სახე ბლომდე შეუნარჩუნდება სოფელს. ეს მისცემს სოფელს ისეთ სახეს, რომლის პრეცედენტი ჯერ არაა საქართველოში.

ველოში.

რა ეტაპზე ხართ ახლა, რა პროცესები მიმდინარეობს?

-ამჟამად, დაახლოებით ყველა სამოსახლო გაყიდულია და ისეთ ეტაპებზე ვართ გადასული, როგორცაა მშენებლობის დაწყება, წყლების გაყვანა, გზების მოწესრიგება, გაზიფიცირება. ძალიან დიდი ძალისხმევა ჩავდეთ ამ ყველაფერში და წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი. უკვე გვაქვს სამი კოტეჯი აშენებული. მშენებლობის მსურველები



ბევრია, იქიდან გამოდინარე, რომ ჯერ გენგეგმა არ გვაქვს დამტკიცებული, ამ პროცესს აქტიურად ვერ ვიწყებთ. გაზაფხულისთვის დაიწყებთ მშენებლობას. დიდი სიხარულით მინდა ვთქვა, რომ სოფელი ალექსანდრესწყარო, მთელ საქართველოს აერთიანებს, ბათუმიდან კახეთის ჩათვლით და ეს ინტერესი ძალიან სასიამოვნოა ჩვენთვის. ეს დაინტერესება კლიმატის უნიკალურობამ და კარგმა სტრატეგიულმა მდებარეობამ გამოიწვია.

რისკების არ შეგეშინდათ? დამეთანხმებით, პროექტი მართლაც მასშტაბური და უპრეცედენტოა, რაც რისკებს მნიშვნელოვნად გაზრდიდა. რა იყო, ან არის ყველაზე დიდი გამოწვევა?

-რისკები ძალიან დიდი იყო. როცა ამაზე ფიქრი დაიწყეთ, ფეხით გვიწვედა რამდენიმე კილომეტრის გავლა. ინფრასტრუქტურის არარსებობა, ძალიან დიდი დაბრკოლება იყო ჩვენთვის. თუმცა, რამდენიმე მეგობარმა ირწმუნა ჩვენი, შეიძინეს მიწები და ეს შენაძენი ფინანსურად დაგვეხმარა იმაში, რომ დამატებითი საშუალებები გვეწარმოებინა და მინიმალური ინფრასტრუქტურა მოგვეწყო სოფლადაც მისასვლელი გზების სახით. უკვე იმხელა ძალა გავერთიანდით, ყველა რესურსს გავუკეთეთ მობილიზება, რომ რაც შეიძლება მალე, ჩვენი ჩანაფიქრი სოფლადაც იქცეს.

როდის დასრულდება სოფლის მშენებლობის პროცესი?

-ჩვენი აზრით, გენ გეგმის არსებობის პირობებში, სოფლის განაშენიანების პროცესი 10 წლით დაჩქარდება. მოსახლეს უკვე აღარ მოუწევს დამატებითი ბიუროკრატია



ული სირთულეების გავლა და ორიენტირებული იქნება ბოლომდე მშენებლობის პროცესზე. სხვადასხვა მიზნით გამოიყენებენ სახლებს, საცხოვრებლად, გასაქირავებლად.

გარდა იმის, რომ ერთნაირი განაშენიანება იქნება, კიდევ რას სთავაზობთ ალექსანდრესწყაროს მომავალ მაცხოვრებლებს?

-იმის გარდა, რომ არის ჰავა მნიშვნელოვანი, შენდება სპორტული მოედანი, პარკი, ტბა, გვინდა გავაკეთოთ თავლა ცხენებით, კაფეები, მაღაზიები. ყველაფერი, მოსახლეობის კომფორტისთვის. იმისთვის, რომ სოფლიდან გარეთ გამოსვლა არ დაჭირდეთ. ძალიან საინტერესო იქნება უცხოელი ტურისტებისთვის. ვცდილობთ, მიმზიდველი გარემო შევქმნათ ყველასთვის.

ხალხზე ვაღდებულება რომ ავიღე, დიდი პასუხისმგებლობა იყო ჩემთვის და მცდელობა არ დაგვიკლია, ყველაფერი ამ მოლოდინების შესაბამისად გვეკეთებინა.

ჩვენმა მკითხველმა, უკვე მიიღო სევასგან პასუხი ცნობილი მულტფილმიდან, სოფლის შენებას რა უნდა?

დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, უფლის ნებაა. უფალი კი სოფლის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ ადამიანებს მარტო არასოდეს ტოვებს.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ საშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „საშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.